პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 133 (7694)
12 ივლისი, ხუთშაბათი, 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ კასპაროვი და კრამლინგი

ფიდე-ს სამდივნომ ლუცერნში (შვეიცარია) გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა კოეფიციენტების სია პროფესორ ელოს სისტემის მიხედვით. ეს სია ძალაში იქნება 1985 წლის 1 იანვრამდე. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტმა გარი კასპაროვმა და შვედმა დიდოსტატმა ქალმა პია კრამლინგმა შეინარჩუნეს წამყვანი პოზიციები.

ვაჟები: 1. გ. კასპაროვი — 2715 ქულა; 2. მსოფლიოს ჩემპიონი ა. კარპოვი (ორივე — საბჭოთა კავშირი) — 2705; 3. ი. ტიმანი (ჰოლანდია) — 2650; 4. ლ. პორტიში (უნგრეთი) — 2640; 5. ვ. კორჩნოი (შვეიცარია) — 2635; 6. ლ. პოლუგაევსკი — 2625; 7. რ. ვაჰანიანი (ორივე — საბჭოთა კავშირი) — 2625; 8. ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 2615; 9. რ. ჰიუბნერი (გფრ) — 2610; 10. მსოფლიოს ექსჩემპიონი ვ. სმისლოვი (საბჭოთა კავშირი) 2610.

ქალები: 1. პ. კრამლინგი (შვეცია) — 2405; 2. ჟ. პოლგარი (უნგრეთი) — 2405; 3. მსოფლიოს ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე — 2375; 4. მსოფლიოს ექსჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი (ორივე — საბჭოთა კავშირი) — 2335; 5. ა. ბრუსტმანი (პოლონეთი) — 2315; 6. ტ. ლემაჩკო (შვეიცარია) — 2305; 7. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ი. ლევიტინა (საბჭოთა კავშირი) — 2295; 8. ჟ. ვერეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი) — 2295; 9. ნ. გურიელი — 2290; 10. ნ. იოსელიანი (ორივე — საბჭოთა კავშირი) — 2290.

ფიდე-მ მიიწვია

მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის ახალი, ორწლიანი (1985-1986 წწ.) ციკლის დებულებით სამი საზონათშორისო ტურნირი უნდა ჩატარდეს. თითოეულ შეჯიბრებაში 18 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას.

ამას წინათ ფიდე-ს სამდივნომ ლუცერნში (შვეიცარია) გამოაცხადა, რომ 1985 წლის დამდეგს საზონათშორისო ტურნირებს უმასპინძლებენ ქალაქები ბილი (შვეიცარია), ტუნისი (ტუნისი) და ჰაუსდალი (ნორვეგია). უკვე ცნობილია საზონათშორისო ტურნირების 14 მონაწილე, რომლებიც პერსონალურად არიან მიწვეული მათი ბოლოდროინდელი მიღწევების გამო. აი, ისინიც: მსოფლიოს ექსჩემპიონები მიხეილ ტალი, ტიგრან პეტროსიანი, ბორის სპასკი; დიდოსტატები ლევ პოლუგაევსკი, რაფაელ ვაჰანიანი, არტურ იუსუპოვი (ყველა — სსრ კავშირი), იან ტიმანი, გენადი სოსონკო (ორივე — ჰოლანდია), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ენტონი მაილსი, ჯონ ნანი (ორივე — ინგლისი), ულფ ანდერსონი (შვეცია), ვლასტიმილ ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) და იასერ სეირავანი (აშშ).

საზონათშორისო ტურნირების დანარჩენი 40 მონაწილე ზონალურ შეჯიბრებებში შეირჩევა.

ვარნის ზაფხული

ვარნაში გრძელდება ფრენბურთელ ქალთა გუნდების მე-16 საერთაშორისო ტურნირი „ვარნის ზაფხული", საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი ანგარიშით 3:0 (15:3, 15:7 15:7). ამავე ქვეჯგუფში მოსპარეზე უნგრელმა ფრენბურთელებმა დაამარცხეს პოლონეთის სპორტსმენები — 3:1 (15:13, 12:15 15:12, 15:12).

მეორე ქვეჯგუფში შეხვედრები ასე დამთავრდა: გდრ-საფრანგეთი 3:0 (15:5, 15:8, 15:4), კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა — ჩეხოსლოვაკია 3:0 (15:4, 15:7, 15:11).

სტუდენტთა სპორტკლუბების საკავშირო თამაშები

გამარჯვების შემდეგ

ინტერვიუ

იმ დღეს საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნურ მანეჟში საქართველოს და მოსკოვის ხმლით მოფარიკავეთა ნაკრები გუნდების შეხვედრის შემდეგ ქართველი სპორტსმენების, მწვრთნელების, სპეციალისტებისა და გულშემატკივრების დიდ სიხარულს თითქმის ყველა იზიარებდა. მეტოქეებიც არ იმჩნევდნენ წაგებით გამოწვეულ წყენას და ჩქარობდნენ დამსახურებული გამარჯვება მიელოცათ დავით თურქიასთვის, თემურ ბოჭორიშვილისთვის, ზურაბ გაგნიძისთვის, დავით ხიტირისთვის.

შეჯიბრების შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა რესპუბლიკის ხმლით მოფარიკავეთა უფროს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს გურამ ლორთქიფანიძეს.

● **ქართველმა ხმლით მოფარიკავეებმა გაახარეს გულშემატკივრები და, რა თქმა უნდა, ქებას იმსახურებენ, მაგრამ თქვენ თითქოს უკმაყოფილო ხართ ჩვენი სპორტსმენების გამოსვლით...**

— უნივერსიადებში საქართველოს ხმლით მოფარიკავეთა ნაკრები მუდამ იმარჯვებს და უძლიერესად ითვლება. მათი გამარჯვებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ წლეულს I ადგილისთვის ბრძოლა უფრო ძნელი იყო და, თუ ხუთბალიანი სისტემით შევაფასებთ, ბიჭებმა მხოლოდ ოთხიანები დაიმსახურეს. ორი აზრი არ არსებობს — უკეთ შეეძლოთ გამოსვლა. მხედველობაში მაქვს პირადი შეჯიბრება.

● **ცოტა რამ გუნდის თითოეულ წევრზე.**

— გიორგი პაიჭაძე განსაკუთრებულ რეკომენდაციას არ საჭიროებს. იგი საპრიზო ადგილის აშკარა პრეტენდენტი გახლდათ, მაგრამ ფეხის ტრავმის გამო გუნდისთვის მხოლოდ ჩასათვლელი ქულების მოპოვებას დასჯერდა. ლიდერის პოზიცია დამაჯერებლად დაიკავა სსრ კავშირის ჩემპიონმა იუნიორთა შორის, კუბის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულმა დავით თურქიამ. ამ სპორტსმენმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი. ბოჭორიშვილი ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორია. სტუდენტურ თამაშებში მან სრულად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები და I-II ადგილებისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა. პერსპექტიული სპორტსმენია ზურაბ გაგნიძეც. იგი ახალგაზრდულ თამაშებზე მეოთხე იყო. ამჯერად გვეგონა ფინალში მოხვდებოდა. დავით ხიტირისათვის ეს პირველი უნივერსიადა იყო და ალბათ ამიტომ პირად შეჯიბრებაში ზედმეტად ღელავდა, თავს შებოჭილად გრძნობდა. გუნდურ ბრძოლაში კი უფრო მეტ გაბედულებას იჩენდა.

● **ჩვენი სპორტსმენები, ჩანდა მეტისმეტად ღელავდნენ. გავიხსენოთ თუნდაც ფინალური ბრძოლა თურქიასა და ხაიგინს შორის ან შეხვედრა III ადგილისთვის (ბოჭორიშვილი— კუზნეცოვი)...**

— შინ ჩატარებული შეხვედრები, როცა შენგან მხოლოდ გამარჯვებებს ელიან, მუდამ დაღს ასვამს სპორტსმენის განწყობას. მხოლოდ ძალზე გამოცდილი, ბრძოლებში გამობრძმედილი სპორტსმენები ახერხებენ ნერვების მოთოკვას.

● **სტუდენტური თამაშები ტრადიციულად თავს უყრის მაღალი კლასის ოსტატებს. ასე რომ, ამ შეჯიბრებისთვის მუდამ სერიოზულად ემზადებიან. სად და როგორ ვარჯიშობდნენ წლეულს ჩვენი მოფარიკავეები?**

— რესპუბლიკის ნაკრების ორი წევრი თურქია და ბოჭორიშვილი პროფკავშირთა ჩემპიონატისთვის 20-დღიან შეკრებაზე იმყოფებოდნენ ვილნიუსში. იქ წარმატებული გამოსვლის შემდეგ ისინი შეუერთდნენ თანაგუნდელებს, რომელთაც 15-დღიანი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება თბილისში, „ბურევესტნიკის" სპორტკომპლექსის ბაზაზე ჰქონდათ. ამ ცხარე ორთაბრძოლებისთვის ყველა კეთილსინდისიერად ემზადებოდა.

● **რომელ გუნდებს თვლით ძირითად კონკურენტებად?**

— წინათ ადვილად ვიგებდით მსგავს შეჯიბრებებს და ამ სახეობაში არ გვყავდა სერიოზული მეტოქეები, მაგრამ ახლა სხვა გუნდების ოსტატობის დონე შესამჩნევად ამაღლდა. ღირსეულ მეტოქეობას გვიწევენ მოსკოვის, რსფსრ-ის, ლენინგრადის გუნდები. როგორც თავად დარწმუნდით, არცთუ იოლი იყო გამარჯვების მოპოვება. მაგრამ ჩვენმა ოთხეულმა — ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა თურქიამ, ბოჭორიშვილმა, გაგნიძემ და ხიტირმა მაინც შეძლეს ეს.

სურათზე: გამარჯვებული ხმლით მოფარიკავეები (მარცხნიდან): დ. ხიტირი, დ. თურქია, ზ. გაგნიძე და თ. ბოჭორიშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მზე ჰაერი და წყალი...

ვინდსერფინგი — აფროსნობის ახალი სახეობა. ბოლო დროს იგი ძალზე პოპულარული გახდა შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე. ვინდსერფინგი ფიზიკურად აძლიერებს მოზარდებს, სხარტსა და მოქნილს ხდის სხეულს, სასიამოვნო განწყობილებას უქმნის სპორტსმენს. ამიტომ არის, გოგო-ბიჭები ასე რომ ეტანებიან მას. მარტო სოხუმის პორტის „ვოდნიკის" კლუბის ვინდსერფინგის სექციაში 50-ზე მეტი მოზარდი იმაღლებს ოსტატობას სპორტის ამ ახალ მიმზიდველ სახეობაში. ბევრი მათგანი უკვე თანრიგოსანი გახდა.

სურათებზე: მწვრთნელ ვიქტორ ვოდოლაჟჩენკოს აღსაზრდელები; მორიგ მეცადინეობაზე.

მიხეილ კვირიკაშვილის ფოტოები.

ჰავანა სტუმრებს ელოდება

ჰავანა. კუბის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარესთან მანუელ გონსალეს გერასთან შეხვედრა ძნელი აღმოჩნდა — ამ დაუდგრომელი კაცის ყოველი სამუშაო დღე უკიდურესად დაძაბულია. მომავალ საერთაშორისო შეჯიბრებაზე „დრუჟბა-84", რომელიც 18-დან 26 აგვისტომდე ჰავანაში გაიმართება, ის უყოყმანოდ და სიამოვნებით დათანხმდა. მ. გონსალეს გერა ამ შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტია.

„კუბელი სპორტის მოყვარულები და სპორტსმენები — თქვა მან, — მოუთმენლად ელოდებიან „დრუჟბა-84"-ის დაწყებას. ძალზე საინტერესო იქნება მოკრივეთა ასპარეზობა, რომელიც დედაქალაქის სპორტის სასახლე „სიუდად დეპორტივა"-ში მოეწყობა. კუბის ნაკრების გარდა, მასში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

დარწმუნებული ვარ, — ხაზი გაუსვა მანუელ გონსალეს გერამ,— რომ საერთაშორისო შეჯიბრება „დრუჟბა"-84 მთლიანად გაამართლებს თავის დანიშნულებას და სხვადასხვა კონტინენტის სპორტსმენთა დაუვიწყარ დღესასწაულად იქცევა".

მერმისს იმედით შევყურებთ...

საბჭოთა კავშირის ნიჩბოსანთა ნაკრების შემადგენლობაში წლების მანძილზე არ არის ჩვენი რესპუბლიკის არც ერთი წარმომადგენელი. იქნებ საუბრის ასე დაწყებამ გააკვირვოს მკითხველი, მაგრამ ის, ვინც იცნობს ქართული ნიჩბოსნობის ისტორიას, დაგვეთანხმება, რომ საამისო საბაბი ნამდვილად გვაქვს.

ვინ იცის, რამდენ შეჯიბრებაში უსახელებიათ თავი ჩვენს ნიჩბოსნებს, როგორ მონდომებით უჭედიათ და უგროვებიათ გამარჯვებები და გამოცდილება იმისათვის, რომ 1972 წელს მიუნხენში ფოთელ ვიქტორ კრატასიუკს მკერდი ოქროს მედლით დაემშვენებინა.

ოლიმპიური ჩემპიონობა ის მწვერვალია, საიდანაც კარგად ჩანს მთელი განვლილი გზა — პირველი ნაბიჯებიდან დღემდე. თავის დროზე საქართველოს ნიჩბოსნებმა ტოლს არავის დაუდებდნენ მთელ საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევდნენ ბაიდარებითა და კანოეთი შეჯიბრებებში. წარმატებებს სათავე მცხეთელმა გიორგი კაპანაძემ დაუდო. 1947 წელს მან ლენინგრადში ჩატარებულ საკავშირო პირველობაზე ქართველ ნიჩბოსანთაგან პირველმა მოიპოვა ვერცხლის მედალი ერთადგილიანი ნავებით ასპარეზობაში. იმავე ჩემპიონატზე ორ-ორი ბრინჯაოს მედლით დაიმშვენეს მკერდი არსენ ხუბეროვმა და ალექსანდრე არეშოვმა, ხოლო ისაკ გიგაურმა და ვლადიმერ რაზმაძემ თითო ბრინჯაო დაიმსახურეს. შემდეგ წლიწადს ბათუმელი ვალენტინა სერედა ქვეყნის ჩემპიონი გახდა, მას შემდეგ სხვადასხვა წლებში, ბაიდარებითა და კანოეთი ასპარეზობაში ქვეყნის ჩემპიონები იყვნენ ავერი მატკავა, ჯიმშერ ხოშბაევი, ვიქტორ კრატასიუკი, ზურაბ ხოფერია, ნოდარ ჩარაევი, თამაზ ჩიტაია.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში ჩვენი სპორტსმენები შედარებით გვიან ჩაებნენ და საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორები პირველად მხოლოდ 1971 წელს გახდნენ რვაადგილიანი ნავებით ასპარეზობაში. 1973 წელს გივი ნიკურაძე ჩემპიონი გახდა. თავისი მიღწევა მან კიდევ ორჯერ — 1974 და 1976 წლებში გაიმეორა, 1975 წელს კი III ადგილზე გავიდა. გ. ნიკურაძემ 1973 წელს ევროპის ჩემპიონატზე რვაადგილიანი ნავების ასპარეზობაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში ჩვენმა სპორტსმენებმა, როგორც აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ისე ბაიდარებითა და კანოეთი შეჯიბრებებში, საგრძნობლად დათმეს პოზიციები. მეტიც: საბჭოთა კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში ჩვენები XI ადგილზე გავიდნენ და 118 ქულას დასჯერდნენ, ხოლო ბაიდარებითა და კანოეთი შეჯიბრების მონაწილეებმა საქართველოს დელეგაციას საერთოდ ვერ მისცეს ჩასათვლელი ქულები.

რამ გამოიწვია ასეთი უკან დახევა?

გვესაუბრება საქართველოს სპორტკომიტეტის აფროსნობა-ნიჩბოსნობის განყოფილების უფროსი **გრიგოლ ფოცხიშვილი:** — მერვე საზაფხულო სპარტაკიადაზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ მეტად პრინციპული საუბარი გვქონდა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიაზე. გამოიკვეთა ჩამორჩენის მიზეზები, ხარვეზები, ნაკლოვანებები და დაისახა კონკრეტული გზები მათი აღმოფხვრისათვის. დღეისათვის ბევრი რამ მოგვარდა, მაგრამ უფრო მეტი კიდევ გასაკეთებელია.

როგორც რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ითქვა, ნიჩბოსნობისთვის კარგი ბუნებრივი პირობები გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით საქართველოს არც ერთი სანიჩბოსნო ბაზა უმაღლესი კლასის სპორტსმენთა მოსამზადებლად არ გამოდგება. დავიწყოთ ცენტრალური ბაზით, რომელიც თბილისში, მდინარე მტკვარზე მდებარეობს და აკადემიურ ნიჩბოსნობაში ოლიმპიური რეზერვის მომზადების ცენტრად ითვლება. აქ ჯერ კიდევ არ არის სანიჩბოსნო აუზი, კეთილმოუწყობელია სარეაბილიტაციო ცენტრი. დღემდე ვერ მოგვარდა წყალმაშველი ჯგუფის გადაყვანა. არადა, წყალმაშველ სადგურს ცენტრალური სანიჩბოსნო ბაზის შენობის კარგა დიდი ნაწილი უკავია.

მეორე ბაზა თბილისის ზღვაზე მდებარე წყალჯომარდობის სადგურშია. პირობები აქ თითქოს ნორმალურია, მაგრამ ტრანსპორტის საქმეა მოუგვარებელი. ნიჩბოსნებს ავტობუსის გაჩერებიდან სადგურამდე დიდი მანძილის გავლა უხდებათ.

კოლეგიის სხდომაზე მკაცრად გააკრიტიკეს ფოთის სანიჩბოსნო ბაზა. იქ უკვე ორი შენობა აიგო. შევიძინეთ სამამულო წარმოების ნავები (სხვათა შორის, ნავებით ახლა ყველა ორგანიზაცია და ბაზა უზრუნველყოფილია). წლეულს დამატებით კიდევ 300 სხვადასხვა სახის ნავს შევიძენთ. მთლიანად ფოთის სანიჩბოსნო ბაზის კეთილმოწყობა სექტემბრის ბოლოსთვისაა გათვალისწინებული.

ნიჩბოსანთა ნაკრები გუნდების მოსამზადებლად თავისი ადგილმდებარეობით ერთ-ერთი საუკეთესოა სიონის ბაზა, მაგრამ იქ სპორტსმენებისთვის პირობებიც არ არის შექმნილი (უვარგისია საცხოვრებელი კორპუსი. არ არის ელინგი, სამხაპე, ფიზიკური მომზადების დარბაზი, სარეაბილიტაციო ცენტრი და სხვ.). მართალია, ამჟამად მიმდინარეობს სიონის ახალი ბაზის დაპროექტება, მაგრამ როდის ჩადგება თვით ბაზა სპორტსმენთა სამსახურში, არავინ უწყის.

რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ძირითად რეზერვს თბილისელი და ფოთელი სპორტსმენები შეადგენენ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. თუ საქართველოში ნიჩბოსნობის ხელახალი აღორძინება გვინდა, აუცილებელია პერიფერიებში მეტი ყურადღება მივაქციოთ მას და შესაფერისი პირობებიც შევუქმნათ, თორემ სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ქუთაისსა და მცხეთაში არსებულ ბაზებში საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის მომზადება უთუოდ გაგვიძნელდება.

კიდევ ერთ პრობლემაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. ყოველი ვარჯიშის დროს მწვრთნელი მოტორიანი ნავით წყალში უნდა იყოს. ამას უსაფრთხოების წესები მოითხოვს. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის არ ხერხდება, რადგან საწვავით ვერ გვამარაგებენ.

— კვალიფიციური მწვრთნელ-სპეციალისტები თუ გყავთ?

— საქართველოს ნაკრებ გუნდებთან და მოზარდებთან მუშაობენ გამოცდილი მწვრთნელები, თავადაც ყოფილი სპორტსმენები, წლების მანძილზე რომ იცავდნენ ქართული სანიჩბოსნო სკოლის ღირსებას. მათ ცოდნა და გამოცდილება არ აკლიათ. ოღონდ, მეტი მონდომება და გულისყურია საჭირო.

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. მანამდე ჩვენს სპორტსმენებს, განსაკუთრებით ნორჩებს მრავალ შეჯიბრებაში მოუწევთ გამოსვლა. მაგალითად, წლეულს, სექტემბერში ისინი ტაშკენტში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე იასპარეზებენ, 1985 წლის ზაფხულში კი ჩვენს ქვეყანაში პირველად გაიმართება ჭაბუკთა საკავშირო თამაშები. აქ მოპოვებული „ოქროს ქულები“ გარკვეული კოეფიციენტით წინასწარ დაერიცხებათ საბჭოთა კავშირის IX სპარტაკიადის მონაწილე ნაკრებ გუნდებს.

— რა კონკრეტული გეგმები გაქვთ დასახული და როგორ ემზადებით ამ შეჯიბრებებზე გამოსასვლელად?

— მზადება ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე დავიწყეთ. შევარჩიეთ ნაკრების კანდიდატები — ოცდაათი ბაიდარ[illegible] კანოეთი ასპარეზობის [illegible] აკადემიურ ნიჩბოსნობაში. შევდგა კონკრეტული სამუშაო გეგმა. გავითვალისწინეთ ისიც, რომ სპორტსმენთა დაოსტატებას ყველაზე მეტად მაინც შეჯიბრებები უწყობს ხელს. წლეულს უკვე ჩავატარეთ რამდენიმე ასპარეზობა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ფოთში გამართული საქართველოს თასის გათამაშება როგორც აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ისე ბაიდარებითა და კანოეთი. მოსწავლეთა ნაკრები გუნდების წევრებმა კარგი შედეგები აჩვენეს. გაგვახარეს ნორჩმა ნიჩბოსნებმა, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრებმა კახა ლომიშვილმა და იგორ ნარიმანიძემ. კრასნოდარში, პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე 1966-1968 წლებში დაბადებულთა შორის კახამ პირველობა მოიპოვა ერთადგილიანი ბაიდარით 1000-მეტრიან დისტანციაზე, ხოლო იგორი მეხუთე იყო ერთადგილიანი კანოეთი 500-მეტრიან დისტანციაზე, ლომიშვილმა კი საკავშირო ჩემპიონატში ჭაბუკთა შორის III ადგილი დაიკავა. ურიგო შედეგები როდია. საქართველოს ნიჩბოსნებს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადამდე სამ-სამ საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მოუწევთ ასპარეზობა. რამდენიმე ამხანაგურ საწვრთნელ შეხვედრასაც ჩავატარებთ. ყოველივე ამის შემდეგ საბოლოოდ დაზუსტდება საქართველოს იმ ნაკრები გუნდების შემადგენლობა, რომლებიც ტაშკენტში გაემგზავრებიან. რაც შეეხება ადგილებს, პროგნოზების გამოთქმა ნაადრევია, რადგან სეზონი ეს-ესაა დაიწყო. ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობთ არა მარტო მეტოქეებს, არამედ ჩვენი სპორტსმენების შესაძლებლობებსაც კი. ვნახოთ, როგორ იასპარეზებენ ისინი ამ შეჯიბრებებში, როგორ გაართმევენ თავს მწვრთნელების მიერ მიცემულ დავალებებს. რაც მთავარია, ვეცდებით გავაუმჯობესოთ წინა სპარტაკიადაზე ნაჩვენები შედეგები. მაშინ ბაიდარებითა და კანოეთი ასპარეზობაში XV ადგილზე ვიყავით, ახლა XI ადგილზე გასვლა გვაქვს დაგეგმილი. აკადემიურ ნიჩბოსნობაში კი VII ადგილის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებთ. ერთი სიტყვით, მერმისს იმედის თვალით შევყურებთ.

საუბარი ჩაიწერა
ვაჟა დანელიამ.

გალინა შარაბიძე

აწმყო, შობილი წარსულისაგან...

ზედმიწევნით უბრალო და თავმდაბალი ქალია. რამდენი ხანიც გინდა იყავი მასთან — თავის თავზე სიტყვა არ წამოსცდება. არც მაშინ, როცა გაიგებს, რომ ჟურნალისტი ხარ, რომ მასზე უნდა დაწერო, რომ მის სპორტსმენობას არ მოსწრებიხარ და, საერთოდ, პირველად ხედავ, რომ, ცოდვა გამხელილი ჯობს და, მასზე ბევრი არაფერი წაგიკითხავს... ერთი სიტყვით, თუ არ იმარჯვე, რამე არ იღონე, მასალის ასაღებად მასთან მისული ხელცარიელი წამოხვალ უკან.

„გვერდით ოთახში მზია ჯუღელი ზის. ისინი ხომ ერთად გამოდიოდნენ...“ მახსენდება და წუთის შემდეგ გალინა შარაბიძე და მე ქალბატონ მზიასთან ვსხედვართ.

— მზია, მე ბევრი რამ დამავიწყდა. თანაც, ხომ იცი, მოყოლა არ მეხერხება. იქნებ ცოტა მომეხმარო... — ისე საწყლად თქვა, რომ გულწრფელად შემეცოდა.

...მოსკოვში დაიბადა, ბავშვობაც იქვე გაატარა. სწავლობდა ჩვეულებრივად, სხვებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ფიზკულტურის გაკვეთილები უყვარდა განსაკუთრებით. მისმა მასწავლებელმა ჯემს ახმედიმაც შეამჩნია სპორტის გამორჩეული სიყვარული და ურჩია სკოლის ტანვარჯიშის სექციაში ემეცადინა.

მაშინ გალინა თერთმეტი წლის იყო. ვერც მისი მასწავლებელი და, მით უმეტეს, ვერც თვითონ ვერ ხედავდნენ იმ დიდ გამარჯვებებს, წლების დაუღალავ შრომას და ოფლისღვრას რომ უნდა მოჰყოლოდა. არც ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური ჩანდა, არც მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი... თუმცა, არც მთლად უმაგისობა იყო — გოგონას კოპებშივე ეტყობოდა, რომ მისი იმედი უნდა ჰქონოდათ.

ვარჯიშსა და მეცადინეობაში შეუმჩნევლად გადიოდა დრო. წლებმა მოიტანა ოსტატობა და აღიარება, ტანვარჯიშის მოყვარულთა პატივისცემა. გალინა მინაიჩევა გაიცნო და შეიყვარა ტანვარჯიშულმა სამყარომ.

ორმოცდაათიან წლებში საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი, თუმცა ჰელსინკის ოლიმპიადამდე არც ერთ ოფიციალურ შეჯიბრებაში არ მიუღიათ მონაწილეობა. 1947 წლის შემოდგომაზე ფინეთში დიდი წარმატებით ჩაიარა მათმა საჩვენებელმა გამოსვლამ. 1948 წელს საბჭოთა სპორტსმენები ბრწყინვალედ გამოვიდნენ პრაღის ახალგაზრდულ შეკრებაზე, კიდევ ერთი წლის შემდეგ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა ბუდაპეშტში გამართულ სტუდენტთა მსოფლიო თამაშებზე პირველი ადგილი დაიკავეს, სულ მალე კი საბჭოთა ნაკრებმა პლანეტის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — უნგრელ ტანმოვარჯიშეებსაც აჯობა. 1950 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს, მათ უზადო ხელოვნებას, ტაშს უკრავდნენ შვედი და ნორვეგიელი მაყურებლები. ბერლინის 1951 წლის მსოფლიო სტუდენტურმა თამაშებმაც საბჭოთა სპორტსმენებს მოუტანა გამარჯვება.

და აი, დადგა დღე, როცა საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს პირველად უნდა მიეღოთ მონაწილეობა ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებაში. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე გუნდი ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: მარია გოროხოვსკაია, ნინა ბოჩაროვა, ეკატერინა კალინჩუკი, გალინა მინაიჩევა (შარაბიძე), მზია ჯუღელი, გალინა ურბანოვიჩი, გალინა შამრაი და პოლინა დანილოვა.

ქალთა შეჯიბრებაში 17 ქვეყნის 131 სპორტსმენი მონაწილეობდა. ასპარეზობა სამ დღეს გაგრძელდა. პირველ დღეს გათვალისწინებული იყო სავალდებულო ვარჯიში (ბჯენითი ხტომა, ნაირსიმაღლის ორძელი, თავისუფალი ვარჯიში და დვირი), მეორე დღეს — თავისუფალი ვარჯიში ოთხსავე ამ სახეობაში, ხოლო მესამე დღეს — ჯგუფური ვარჯიში.

ქალთა ასპარეზობა 22 ივლისს დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა ნაკრები თავიდანვე ყურადღების ცენტრში მოექცა. არც გასაკვირია: ჩვენი გოგონები გამორჩეულად გრაციოზულები, ელეგანტურები იყვნენ, დამაჯერებლად ასრულებდნენ ურთულეს ელემენტებს და, რაც მთავარია, შეუპოვრად, უკომპრომისოდ იბრძოდნენ გამარჯვებისთვის. როცა არენაზე მუქმწვანე ფორმაში გამოწყობილი საბჭოთა სპორტსმენები გამოდიოდნენ, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დარბაზში მხოლოდ ისინი იყვნენ.

— ჩემპიონის მაისურს კი ვიზომებდით, მაგრამ არც ის გვავიწყდებოდა, რომ უნგრელები და ჩეხები უბრძოლველად ქულის მეათედს არ დათმობდნენ, — იგონებს ქალბატონი გალინა.— მათი ლიდერები აგნეშ კელეტი და ევა ბოსაკოვა ყველასთვის ანგარიშგასაწევი მეტოქეები იყვნენ, მაგრამ სამართალმა მაინც ჭამა პური — სამი დღის დაძაბული პაექრობის შემდეგ საბჭოთა ნაკრები ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობას ზეიმობდა. მესუპალის უზარმაზარ დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. ეს არ იყო ჩემპიონის უბრალო დაჯილდოება, ეს ტანვარჯიშის დიდი დღესასწაული იყო. ოლიმპიური ოქროს მედლით დააჯილდოვეს ჩვენი მწვრთნელი ალექსეი ალექსანდროვიც.

პირად შეჯიბრებაში გალინა მინაიჩევამ საგნით ვარჯიშში მეორე ადგილი დაიკავა, ბჯენით ხტომაში — მესამე, აბსოლუტურ პირველობაში კი მეოთხე იყო.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გრანდიოზული და თვალსაჩინო წარმატება ოლიმპიადის ნამდვილ სენსაციად იქცა. მსოფლიო პრესა ვრცელ კომენტარს უკეთებდა საბჭოთა სპორტის დიდ გამარჯვებას.

ფრანგული გაზეთი „ფიგარო“ წერდა: „საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებმა ვაჟებზე თვალნათლივ დაგვანახვეს თავიანთი ბრწყინვალე ოსტატობა, ვარჯიშის უზადოდ შესრულების უნარი. მათ თითქოს თავის თავსაც კი აჯობეს“.

— ქართველების მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ სითბოსა და სიმპათიას ვგრძნობდი. ამ სიყვარულმა ბოლოს და ბოლოს ქართველების რძალი გამხადა. მაგრამ მანამდე მზია ჯუღელთან ვმეგობრობდი. წლების განმავლობაში ერთად ვიყავით შეკრებებზე, შეჯიბრებებზე. ბევრი რამ მახსოვს, თუმცა, ყველაზე კარგად რატომღაც ბერლინის ახალგაზრდული ფესტივალი დამახსომდა. ომი ახალი დამთავრებული იყო. ერთად დავდიოდით დანგრეული და მაშინ მშენებარე ქალაქის ქუჩებში, საღამოს კი გამოვდიოდით საციგურაო დარბაზში, სადაც ჩვენს შემდეგ ფიგურისტების და ჰოკეისტების შეჯიბრებები იმართებოდა. ჩვენთვის ყინულზე სქელ ნოხს აგებდნენ, თითოეულ იარაღზე ვარჯიშის შემდეგ კი პლედებში გვხვევდნენ და ცხელ ყავას გვასმევდნენ.

ოლიმპიადის დამთავრებისთანავე გალინა მინაიჩევამ თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა ქართველ ტანმოვარჯიშეს რევაზ შარაბიძეს და თბილისის მკვიდრი გახდა. სპორტისთვის თავი არ დაუნებებია. პირიქით, შეჯიბრებას შეჯიბრება მოჰყვებოდა, წარმატებას წარმატება მოსდევდა... ოლიმპიადის შემდეგ საბჭოთა ნაკრებს საჩვენებელი გამოსვლები ჰქონდა ავსტრიის ათ ქალაქში. გუნდმა ამხანაგური მატჩი გამართა საფრანგეთის ტანმოვარჯიშეთა ნაკრებთან, მომდევნო წელს ჩინეთის თერთმეტ ქალაქში აჩვენა თავისი ოსტატობა... აღიარება, ყველგან დიდი იყო.

საინტერესოა, რომ გალინა შარაბიძე უძლიერესი იყო ტანმოვარჯიშეებისგანვე ყველაზე „ვერაგ“ იარაღად მიჩნეულ დვირზე ვარჯიშში.

1953 წელს სვერდლოვსკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩატარდა. გალინა შარაბიძემ შეუდარებლად იასპარეზა თავის საყვარელ სახეობაში და ჩემპიონიც გახდა.

1954 წლის რომის მსოფლიო ჩემპიონატმა ცხადყო, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამარჯვება XV ოლიმპიურ თამაშებზე შემთხვევითი არ იყო — გუნდურ ვარჯიშში საბჭოთა ქალები ჩემპიონები გახდნენ.

...როცა შენი სიცოცხლის მოზრდილ მონაკვეთს ერთ რომელიმე საქმეს შესწირავ, იტყვიან, ეს კაცი ამა და ამ საქმით ცოცხლობს, ამასა და ამას მიუძღვნა ცხოვრებაო. გალინა შარაბიძემ თითქმის ოცი წელიწადი გაატარა სპორტულ სარბიელზე, მაგრამ, ან იქნებ სწორედ ამიტომაც, ძალზე ძნელი აღმოჩნდა სპორტთან განშორება. ლენინგრადის 1960 წლის საკავშირო პირველობა ბოლო აღმოჩნდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონისათვის.

თუმცა, განშორება არც ეთქმის. კარგა ხანია გალინა შარაბიძე ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის რესპუბლიკური სკოლის უფროსი მეთოდისტია, ისევ მოვლენების ცენტრში ტრიალებს და სპორტში დიდი ხნის დაგეშილი გუმანით ეძიებს ახალ ტალანტებს.

ნანა ჯოხარიძე.

საბჭოთა კავშირის პირველობა

გუშინ დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის 1984 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის II წრე. ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტი" და ერევნის „არარატი".

მატჩი დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით — 6:4.

◆

I ლიგა

10 ივლისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების პირველი წრის ბოლო, XXII ტურის მატჩები.

საქართველოს გუნდების შეხვედრათა შესახებ უკვე ვიტყობინებოდით. გთავაზობთ ტურის სხვა მატჩების შედეგებს:

ასკ (ხაბაროვსკი) — „პამირი" (დუშანბე) 1:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ზვეზდა" (ჯიზაკი) 1:0, „ირტიში" (ომსკი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:1, „როტორი" (ვოლგოგრადი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) 3:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ფაკელი" (ვორონეჟი) 0:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 2:1, „ისკრა" (სმოლენსკი) — „დაუგავა" (რიგა) 3:0, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 2:1.

გათამაშების ცხრილი

I წრის შედეგები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფაკელი"	21	15	3	3	33-13	33
„მეტალურ."	21	11	6	4	41-20	28
„ტორპ." ქ.	21	11	5	5	43-27	27
„ლოკომოტ."	21	10	7	4	25-17	27
„ყუბანი"	21	12	1	8	31-19	25
ასკ „კარპ."	21	10	4	7	36-19	24
„დაუგავა"	21	8	8	5	35-27	24
„პამირი"	21	9	5	7	25-22	23
„ისკრა"	21	8	7	6	18-20	23
„ტავრია"	21	7	8	6	23-23	22
„გურია"	21	6	9	6	21-23	21
„როტორი"	21	9	2	10	31-37	20
„შინიკი"	21	6	8	7	25-24	20
„კუზბასი"	21	7	5	9	21-23	19
„დინამო" ბ.	21	6	6	9	20-31	18
ასკ ხ.	21	5	7	9	18-28	17
„ნისტრუ"	21	5	7	9	18-34	17
„სპარტაკი"	21	6	4	11	21-25	16
„ზვეზდა"	21	6	3	12	18-30	15
„ზარია"	21	4	7	10	20-29	15
„კოლოსი"	21	4	7	10	21-34	15
„ირტიში"	21	3	7	11	13-32	13

◆

კიევის დინამოელები საფრანგეთში

უკრაინის დედაქალაქი კიევი და საფრანგეთის ტულუზა დაძმობილებული ქალაქები არიან. კიევის „დინამოს" ფეხბურთელები სტუმრად ეწვივნენ ტულუზას და 10 ივლისს ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს ადგილობრივ „ტულუზა-ფუტბოლ-კლუბთან". ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს კიეველებმა. ბურთი პირველ ტაიმში გაიტანა ზავაროვმა.

მატჩის დამთავრების შემდეგ ქალაქის პარკში საბჭოთა სპორტსმენთა საპატივცემლოდ გაიმართა დიდი მიღება.

◆

სამსახურიდან დაითხოვეს...

ინგლისის საფეხბურთო კლუბმა „ექსეტერ სიტიმ" დაითხოვა თავისი შტატიანი მღვდელი ჯეფრი კუკი იმ მიზეზით, რომ „ღმერთი არ ისმენს ლოცვას" და გუნდი მატჩს მატჩზე აგებს.

ასევე მოიქცა იტალიის „კატანძაროც", რომელმაც პირველი ლიგა დატოვა. სამსახურიდან გაათავისუფლეს შემლოცველი კლაუდიო ფისეტო. მიზეზი გასაგებია — ფისეტოს შელოცვებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

დანიელები, პორტუგალიელები და სხვანი...

სპორტში, კერძოდ კი ფეხბურთში, პროგნოზები უიმედო საქმეა. ამაში თითოეული ჩვენგანი არაერთხელ დარწმუნებულა, მაგრამ ფეხბურთის გულშემატკივარი, ეტყობა, ისეა მოწყობილი, რომ სხვაგვარად არ შეუძლია: აუცილებლად წინასწარ უნდა აწონ-დაწონოს მეტოქეთა შანსები, უპირატესობა მიანიჭოს ერთს და იმთავითვე განწირულად გამოაცხადოს მეორე... ამ მხრივ გულშემატკივრებს არც ჟურნალისტები ჩამოვრჩებით — მუდამ ვცდილობთ სპეციალისტებიც (მწვრთნელები თუ თვით ფეხბურთელები) „შევაცდინოთ" და ორი სიტყვა წინასწარ ვათქმევინოთ მომავალ ასპარეზობაზე. ამიტომ ხდება, რომ ყოველი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ტურნირის წინ ჟურნალ-გაზეთები აივსება ხოლმე სხვადასხვა სახის, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებით.

ასე იყო ამჯერადაც. ევროპის VII ჩემპიონატის წინ ჩვენს გაზეთშიც არაერთი მასალა დაიბეჭდა, სადაც ფეხბურთის ცნობილი მოღვაწენი, სპეციალისტები, ჟურნალისტები, მოქმედი სპორტსმენები ფავორიტად მიიჩნევდნენ ერთ გუნდს, მეორეს კი აუტსაიდერად ნათლავდნენ. რა თქმა უნდა, ბევრმა მართლაც წინასწარ გამოიცნო მომავალი ჩემპიონი, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელიც და, შესაძლოა, ზოგიერთი მატჩის შედეგიც, მაგრამ ერთში კი თითქმის ყველა შეცდა: ნახევარფინალის საგზურებისთვის უფრო დაძაბულსა და ცხარე ბრძოლას ელოდნენ I ჯგუფში, სადაც თითქოს თანაბარი ძალის გუნდებმა მოიყარეს თავი (საფრანგეთი, დანია, ბელგია, იუგოსლავია). II ჯგუფში (გფრ, ესპანეთი, პორტუგალია, რუმინეთი) აშკარა ფავორიტად ითვლებოდნენ დასავლეთგერმანელები, დანარჩენ სამ გუნდს კი რატომღაც მათზე ბევრად სუსტებად მიიჩნევდნენ. სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: I („თანაბარ") ჯგუფში ექვსი მატჩიდან არც ერთი არ დამთავრებულა ფრედ, ხოლო ორი შეხვედრა დიდი ანგარიშითაც დასრულდა (5:0). II („ფავორიტიან") ჯგუფში კი სამი შეხვედრა ფრედ დამთავრდა, დანარჩენ სამში კი გამარჯვებულმა მხოლოდ მინიმალურ უპირატესობას მიაღწია. მთავარი ფავორიტი — გფრ-ის ნაკრები — ნახევარფინალშიც ვერ გავიდა.

პირველ ორ წერილში ჩვენ უმთავრესად საფრანგეთის, ესპანეთისა და დასავლეთ გერმანიის ეროვნულ გუნდებზე ვილაპარაკეთ, კონტინენტის პირველობის დანარჩენ ხუთ ფინალისტზე კი თითქმის არაფერი გვითქვამს. არადა, ისინი სხვებზე ნაკლებ როდი იმსახურებენ ყურადღებას. ეს განსაკუთრებით ითქმის დანიისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებზე.

დანიელთა გამოჩენა ევროპის საფეხბურთო ელიტაში საკმოდ მოულოდნელი იყო არა მარტო რიგითი გულშემატკივრებისთვის, არამედ საქმეში ღრმად ჩახედული ხალხისთვისაც. სიმონსენმა და მისმა პარტნიორებმა შესანიშნავად ჩაატარეს შესარჩევი ტურნირი — 8 მატჩიდან 6 მოიგეს (სახელგანთქმულ „უემბლიზე" სძლიეს ინგლისის ნაკრებს) და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ — მინიმალური ანგარიშით (0:1) წააგეს უნგრელებთან.

მიუხედავად ამისა, მათთვისაც კი, ვინც დანიელებისაგან საფრანგეთში კარგ თამაშს ელოდა, ფინალურ ტურნირში ამ გუნდის გამოსვლა სასიამოვნო სიურპრიზად იქცა. ორი წლის წინათ საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მშვენება იყო. წლევანდელი ევროპის პირველობის ფინალური ტურნირი ასევე დაამშვენა დანიელთა ძლიერმა, მონოლითურმა და ამავე დროს, უაღრესად მომხიბლავმა გუნდმა, ურომლისოდაც (ღრმად ვართ დარწმუნებული) ეს ასპარეზობა ძალიან ბევრს დაკარგავდა.

თამამად შემიძლია ვთქვა, ბედმა გაგვიღიმა, რომ ამ გუნდის ორ მატჩს უშუალოდ ლიონის „სტად ჟერლანის" ტრიბუნიდან ვუყურებდით. პირველ შეხვედრაში დანიელებმა პირდაპირ გაანადგურეს იუგოსლაველები (5:0), მეორეში კი პენალტებით წააგეს ესპანელებთან. ეს საოცრად დრამატული ნახევარფინალური მატჩი საბჭოთა ტელემაყურებლებმაც ნახეს და მასზე ალბათ აღარ ღირს დაწვრილებით ლაპარაკი. შეხვედრის დროს მინდორზეც და ტრიბუნებზეც მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ ესპანელების საპასუხო გოლის შემდეგ მათს ერთ-ერთ ქომაგს სიხარულისგან გული წაუვიდა. როცა თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფორმაში გამოწყობილი და უზარმაზარი დოლით „აღჭურვილი" ეს გულშემატკივარი ფეხზე წამოდგა, მას მთელი ტრიბუნა (ესპანელებიც და არაესპანელებიც) გამაყრუებელი ყიჟინით შეხვდა. სხვათა შორის, მედოლეს მაისურზე მე-12 ნომერი ეწერა, რითაც ალბათ იმის თქმა სურდა, გუნდის მეთორმეტე წევრი ვარო. მართლაც, ტრიბუნებზე დანიელი გულშემატკივრები ბევრად სჭარბობდნენ ესპანელებს, მაგრამ სკანდინაველთა შეწყობილი სიმღერა მაინც ვერ ფარავდა ამ თავგამოდებული ქომაგის დოლის ბაგაბუგს. ყველას კარგად გახსოვთ პენალტების სერია, რომელიც ფრედ დამთავრებულ მატჩს მოჰყვა; გახსოვთ ელკიაერ-ლარსენის დარტყმა, რომელმაც მხოლოდ ჰაერი გაკვეთა, არკონადას კარის ბადე კი ვერ შეარხია, გახსოვთ ესპანელთა გაბადრული სახეები და დანიელთა ნაღვლიანი თვალები.

ყველაზე არალოგიკური კი ალბათ მაინც ის იყო, რომ ესპანეთის ნაკრებს გამარჯვება მოუტანა დანიელთა საუკეთესო მოთამაშის უზუსტო დარტყმამ. დიახ, ელკიაერ-ლარსენი უდავოდ გამოირჩეოდა არა მარტო თავის გუნდში, არამედ ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელ ჩემპიონატში. შესანიშნავი ტექნიკა, სისწრაფე, ოსტატური დრიბლინგი, გამძლეობა, შეუპოვრობა, ფინტების მდიდარი არსენალი, ზუსტი და ძლიერი დარტყმა... შეგვეძლო ჩამოთვლა კიდევ გაგვეგრძელებინა, მაგრამ ვფიქრობთ, ამ ფეხბურთელის ძალის წარმოსადგენად ესეც საკმარისია. თუმცა, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ელკიაერ-ლარსენის კიდევ ერთი თვისება: უსაზღვრო მოთმინება. იშვიათად მინახავს, რომ ერთი ფეხბურთელი ამდენჯერ წააქციოთ, ასე უხეშად მოეცილოთ, ასე, შეიძლება ითქვას, ენადიროთ მასზე... ეს კია, ელკიაერ-ლარსენი მაინც ახერხებდა შედარებით უვნებელი გასულიყო ბრძოლის ველიდან. მისი პარტნიორი, გუნდის სული და გული ალან სიმონსენი კი პირველსავე მატჩში მძიმედ დაშავდა — მას ფეხი მოტეხა საფრანგეთის ნაკრების მცველმა ლე რუმ (ეს ზორბა, 188 სმ სიმაღლის ფეხბურთელი, არც შემდგომ მატჩებში გამოირჩეოდა თავაზიანობით).

შეჯიბრების მიწურულს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ჟურნალისტებისა თუ სპეციალისტებისგან ხშირად გაიგონებდით, დანიელებს სიმონსენიც რომ ჰყოლოდათ, ნახევარფინალში ესპანელებსაც მოუგებდნენ და ფინალში ფრანგებსაც ტოლს არ დაუდებდნენო. ვინ იცის... ყოველ შემთხვევაში, დასავლეთგერმანელ მწვრთნელს ზეპ პიონტეკს, თუმცა მისი ფეხბურთელები ფინალში ვერ გავიდნენ, შეუძლია იამაყოს თავისი გუნდით. ბერტელსენის, მ. ოლსენის, არნესენის, ლერბის, ლაუდრუპის, კვისტისთანა მოთამაშეებს ბევრი ეროვნული ნაკრები ინატრებდა. მათგან რამდენიმეს ჩემპიონატის მსვლელობაშივე დაადგეს თვალი სხვადასხვა კლუბის მესვეურებმა. მაგალითად, ტურნირი ჯერ დამთავრებულიც არ იყო, როცა ელკიაერ-ლარსენმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ვერონის „ჰელასთან".

დანიელებს მეტად ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ მათი ძალა, პირველ ყოვლისა, უაღრესად შეთანხმებულ, ჰარმონიულ, კოლექტიურ მოქმედებაშია. გუნდის წევრებს უსიტყვოდ ესმით ერთმანეთისა და თამაშის მსვლელობაშივე შეუძლიათ ტაქტიკური ნახაზი შეცვალონ. ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ. ავიღოთ თუნდაც მატჩი იუგოსლავიის ნაკრებთან, რომელიც დანიელებმა დიდი ანგარიშით (5:0) მოიგეს. ამ შეხვედრას ადგილობრივმა პრესამ „ბოლო შანსის მატჩი" უწოდა, რადგან ერთმანეთის პირისპირ დადგნენ I ტურში დამარცხებული გუნდები, რომელთათვისაც კიდევ ერთი მარცხი ნახევარფინალის მიღმა დარჩენას ნიშნავდა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს შეხვედრა განსაკუთრებით მძიმე უნდა ყოფილიყო დანიელებისათვის, რადგან მათ ჩემპიონატის გახსნის მატჩში გამარჯვება მხოლოდ ბოლო წუთებზე დათმეს ტურნირის მასპინძლებთან. პიონტეკი ბევრს ეცადა თავისი ფეხბურთელების დამშვიდებას. იმ წაგებული მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზეც და ჟურნალისტებთან ყოველი შეხვედრის დროსაც მწვრთნელი ქებით იხსენიებდა თავის გუნდს: „ფრანგებთან შეხვედრაში ჩვენი მარცხის ერთადერთი მიზეზი ის იყო, რომ ბედმა გვიმტყუნა, მაგრამ ასეა თუ ისე, წაგება ტრაგედიად არ უნდა მივიღოთ და გული არ უნდა გავიტეხოთ".

ძნელი სათქმელია, მწვრთნელის შეგონებამ იმოქმედა, მატჩზე ჩამოსული 20 ათასი დანიელი გულშემატკივრის მხურვალე მხარდაჭერამ თუ კიდევ რაიმე სხვა ფაქტორმა, მაგრამ სკანდინაველებმა მართლაც შესანიშნავად ჩაატარეს ეს შეხვედრა. იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა ტოდორ ვესელინოვიჩმა პირველი მატჩის მონაწილეთაგან ხუთი კაცი შეცვალა, რამაც კიდევ უფრო გააფუჭა საქმე. განსაკუთრებით წარუმატებელი გამოდგა მეკარე ივკოვიჩის დებიუტი ევროპის პირველობაზე. საერთოდ, ვესელინოვიჩი ფინალური ტურნირის დროსაც განაგრძობდა ოპტიმალური შემადგენლობის ძიებას, [illegible] თი რანგის ასპარეზობაში [illegible] დაუშვებელია: არადა, იგი დიდად დაიმედებული ჩამოვიდა საფრანგეთში. პირველი მატჩის დაწყებამდე მწვრთნელმა განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ პორტუგალიისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებთან გამართულმა ორმა ამხანაგურმა მატჩმა იუგოსლაველ ფეხბურთელებს საკუთარი ძალის რწმენა შემატა. ბარემ აქვე მოგახსენებთ, რომ ტურნირის მიწურულს, ზედიზედ წაგებული მატჩების შემდეგ, ვესელინოვიჩს სწორედ ამ თამაშებს ახსენებდნენ — სპეციალისტების აზრით, ნაკრების მწვრთნელს მარათონული სეზონის შემდეგ დასვენების საშუალება უნდა მიეცა თავისი ფეხბურთელებისთვის, მან კი ამხანაგური საერთაშორისო მატჩები დანიშნა. საერთოდ, ვესელინოვიჩმა იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე საკმაოდ ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე (მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 19 შეხვედრა ჩაატარა) 60 ფეხბურთელი გამოსცადა, რომელთაგან 34 დებიუტანტი იყო! იქნებ ამიტომაც მოხდა, რომ იუგოსლაველთა არცთუ ურიგო გუნდმა, რომლის შემადგენლობაში არაერთი საინტერესო ფეხბურთელი თამაშობს (სუშიჩი, გუდელი, ძმები ვუიოვიჩები, სესტიჩი და სხვანი), ევროპის პირველობაზე ვერაფრით გამოიჩინა თავი. ვესელინოვიჩს ტურნირის დამთავრებისთანავე მოუხდა გუნდის დატოვება.

ასეთივე ბედი ეწია პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელს ფერნანდო კაბრიტას, თუმცა კი სრულიად გაუგებარია, რამ აიძულა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ასეთი გადაწყვეტილება მიეღო — პორტუგალიელებმა საფრანგეთის სტადიონებზე ნახევარფინალის საგზურიც მოიპოვეს და კინაღამ ფინალშიც გავიდნენ. ასეთ თამაშს მათგან არავინ ელოდა. შესარჩევ ასპარეზობაში პორტუგალიელებმა მხოლოდ იმის წყალობით მოიპოვეს წარმატება, რომ სხვა მეტოქეები (კერძოდ საბჭოთა კავშირის ნაკრები) მასზე სუსტნი გამოდგნენ. საკვირველი იყო, როგორ იცვალა გუნდმა სახე ასე მოკლე დროში — ფინალურ ასპარეზობაში მან ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მაყურებლებსა და სპეციალისტებს ხიბლავდა პორტუგალიელთა უაღრესად საიმედო დაცვა, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობდა ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ლიბერო — ლიმა პერეირა, ძლიერი ნახევარდაცვის ხაზი, სადაც გამოირჩეოდა გუნდის დირიჟორი და ლიდერი შალანა, საოცრად ტექნიკური, სწრაფი და მოძრავი თავდამსხმელი ჟორდაო.

სხვათა შორის, გუნდის მწვრთნელმა კაბრიტამ ჟურნალისტებზე ისედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პორტუგალიელთა გუნდმა საფრანგეთის ნაკრებთან ნახევარფინალური მატჩი დამატებითი დროის ბოლო ხუთ წუთში წააგო, მაგრამ კაბრიტას სახეს ღიმილი არ მოშორებია. გაკვირვებული რეპორტიორები, ცხადია, დაინტერესდნენ მისი სიხარულის მიზეზით. მწვრთნელის პასუხი ასეთი იყო: „მე დღეს ისეთი სიამოვნება მომანიჭა თვით ფეხბურთმა, რომ მატჩის შედეგი პირადად ჩემთვის მეორეხარისხოვან საქმედ იქცა".

ასეთი განცხადების მოსმენა დამარცხებული გუნდის მწვრთნელისგან მართლაც სასიამოვნო იყო.

დავით კაკაბაძე.

(„ლელოს" სპეც. კორ.).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 129, 130.

ალან სიმონსენისთვის ევროპის ჩემპიონატი პირველივე მატჩით დასრულდა — მას უხეშად ეთამაშა საფრანგეთის ნაკრების მცველი ლე რუ, რომელმაც დანიელ ფეხბურთელს მძიმე ტრავმა მიაყენა.

ინფორმაცია

მექსიკელთა ტურნე ევროპაში

როგორც მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის მასპინძლის — მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები აგვისტოში ხუთ ამხანაგურ მატჩს გამართავს ევროპაში. მექსიკელები შეხვდებიან ირლანდიის, ფინეთის, საბჭოთა კავშირის (19 აგვისტო, ლენინგრადი), შვეციისა და იუგოსლავიის ეროვნულ გუნდებს.

მექსიკის ნაკრებს წვრთნის იუგოსლაველი სპეციალისტი ბორა მილუტინოვიჩი.

გდრ-ის ნაკრების ახალი მწვრთნელი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა ბერნდ შტანგე, რომელიც უწინ ამ ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებს ედგა სათავეში. შტანგეს კონკრეტული ამოცანა დაუსახეს — მისმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება უნდა მოიპოვოს. ახალი მწვრთნელის თანაშემწე იქნება წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ჰარალდ ირმშერი.

პრიზიორი გაკოტრდა

ბელგიის ჩემპიონატის პრიზიორი „სერენი" გაკოტრდა და ყიდის თავის წამყვან მოთამაშეებს. მათ შორის არიან ეროვნული ნაკრების ახალი ცენტრფორვარდი კლესენი და დანიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ბერტელსენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის საკლუბო ტურნირები

როგორც ვიტყობინებოდით, 10 ივლისს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გაიმართა ევროპის ქვეყნების იმ საფეხბურთო კლუბების წილისყრა, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის 1984-85 წლების ტურნირებში.

უეფა-ს რეგლამენტით ყოველი წილისყრის წინ კლუბებს ისე ანაწილებენ, რომ საწყის ეტაპებზე უძლიერესნი არ შეხვდნენ ერთმანეთს და ამით აუტსაიდერებს გადამწყვეტ ეტაპებზე გასვლის საშუალება არ მისცენ.

ჩემპიონთა თასის და თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ევროპის ყოველ ქვეყანას თითო გუნდი გამოჰყავს, გარდა ამისა, ორივე შეჯიბრებაში მონაწილეობენ წინა გათამაშებაში გამარჯვებულები, ხოლო უეფა-ს თასისთვის 64 კლუბი იბრძვის, იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანას რამდენი ადგილი ეკუთვნის საგანგებოდ შემუშავებული კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით. ახლანდელ შეჯიბრებაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ესპანეთსა და ინგლისს 4-4 კლუბი გამოჰყავს, იუგოსლავიას, ბელგიას, შოტლანდიას, ჩეხოსლოვაკიასა და საფრანგეთს — 3-3, 13 ქვეყანას, მათ შორის სსრ კავშირს, 2-2, ხოლო 11 ქვეყანას — თითო.

1 წრე

ჩემპიონთა თასი

„ტრაბზონსპორი“ (თურქეთი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი, სსრ კავშირი).

„ლეხი“ (პოლონეთი) — „ლივერპული“ (ინგლისი).

„ლევსკი“-სპარტაკი“ (ბულგარეთი) — „შტუტგარტი“ (გფრ).

„აბერდინი“ (შოტლანდია) — „დინამო“ (ბერლინი, გდრ).

„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ომონია“ (კიპროსი).

„ილვესი“ (ფინეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია).

„ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი).

„აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — „ვალეტა“ (მალტა).

„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია).

„ავენირი“ (ლუქსემბურგი) — „გიოტებორგი“ (შვეცია).

„ბორდო“ (საფრანგეთი) — „ატლეტიკი“ (ბილბაო, ესპანეთი).

„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „ჰონვედი“ (უნგრეთი).

„ვალერენგენი“ (ნორვეგია) — „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია).

„ბევერენი“ (ბელგია) — „აკრანესი“ (ისლანდია).

„ლინფილდი“ (ჩრ. ირლანდია) — „შემროკ როვერსი“ (ირლანდია).

„ლაბინოტი“ (ალბანეთი) — „ლინგბიუ“ (დანია).

თასების თასი

„დინამო“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია).

„ბაიერნი“ (გფრ) — „მოსი“ (ნორვეგია).

„რექსემი“ (უელსი) — „პორტუ“ (პორტუგალია).

„მეცი“ (საფრანგეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი).

„სტიაუა“ (რუმინეთი) — „რომა“ (იტალია).

„კბ კოპენჰაგენი“ (დანია) — „ფორტუნა“ (ჰოლანდია).

„მალმიო“ (შვეცია) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ).

„ვისლა“ (პოლონეთი) — „ვესტმანაეიარი“ (ისლანდია).

„თრაკია“ (ბულგარეთი) — „უნიონი“ (ლუქსემბურგი).

„რაპიდი“ (ავსტრია) — „ბეშიქთაში“ (თურქეთი).

„ბანიასი“ (უნგრეთი) — „ლარისა“ (საბერძნეთი)

„ბალიმენა“ (ჩრ. ირლანდია) — „ჰამრუნი“ (მალტა).

„ინტერი“ (ჩეხოსლოვაკია) — „კუსიუსი“ (ფინეთი).

„იკდ“ (ირლანდია) — „ევერტონი“ (ინგლისი).

„სელტიკი“ (შოტლანდია) — „გენტი“ (ბელგია).

„აპოელი“ (კიპროსი) — „სერვეტი“ (შვეიცარია).

უეფა-ს თასი

„დინამო“ (მინსკი, სსრ კავშირი) — ჰიკ (ფინეთი).

„სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „ოდენსე“ (დანია).

„ბრაგა“ (პორტუგალია) — „ტოტენჰემი“ (ინგლისი).

„გლენტორანი“ (ჩრ. ირლანდია) — „სტანდარდი“ (ბელგია).

„სიონი“ (შვეიცარია) — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი).

„ფორვერტსი“ (გდრ) — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია).

„რედ ბოიზი“ (ლუქსემბურგი) — „აიაქსი“ (ჰოლანდია).

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „სვაროვსკი ვაკერი“ (ავსტრია).

„ვიდეოტონი“ (უნგრეთი) — „დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია).

„ოსერი“ (საფრანგეთი) — „სპორტინგი“ (პორტუგალია).

„მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „რაბა“ ეტო (უნგრეთი).

„დუკლა“ (ბანსკა-ბისტრიცა, ჩეხოსლოვაკია)—„ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი, გფრ).

„ვალიადოლიდი“ (ესპანეთი) — „რიეკა“ (იუგოსლავია).

„პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — „ჰართსი“ (შოტლანდია).

„ანდერლეხტი“ (ბელგია) — „ვერდერი“ (გფრ).

აიკ (შვეცია) — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია).

„რეიკიავიკი“ (ისლანდია) — „ქუინზ-პარკ რეინჯერსი“ (ინგლისი).

„პოგონი“ (პოლონეთი) — „კიოლნი“ (გფრ).

„ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი) — „ბრიუგე“ (ბელგია).

„ლილესტრიომი“ (ნორვეგია) — „ლოკომოტივი“ (გდრ).

„ვიძევი“ (პოლონეთი) — „ორჰუსი“ (დანია).

„საუთჰემპტონი“ (ინგლისი) — „ჰამბურგი“ (გფრ).

„ბოჰემიანსი“ (ირლანდია) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია).

„ესტერი“ (შვეცია) — „ლინცერ-აშკ“ (ავსტრია).

„სპორტული“ (რუმინეთი) — „ინტერი“ (იტალია).

„ბოჰემიანსი“ (ჩეხოსლოვაკია) — „აპოლონი“ (კიპროსი).

„ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) — „ქსამაქსი“ (შვეიცარია).

„სლივენი“ (ბულგარეთი) — „ჟელეზნიჩარი“ (იუგოსლავია).

„სევილია“ (ესპანეთი) — „უნივერსიტატია“ (რუმინეთი).

„მონაკო“ — ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“ (ბულგარეთი).

„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „ფიორენტინა“ (იტალია).

„პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „რაბატ აიაქსი“ (მალტა).

შენიშვნა: 19 სექტემბერს მეტოქეს უმასპინძლებენ წილისყრაში პირველად დასახელებული გუნდები, ხოლო 3 ოქტომბერს საპასუხო შეხვედრები გაიმართება.

ცნობილია, რომ ევროპის საკლუბო ტურნირებში გარკვეული უპირატესობა აქვს გუნდს, რომელიც პირველ შეხვედრას სტუმრად ატარებს, რადგან საპასუხო მატჩში იგი უკვე კონკრეტულ ამოცანებს ახორციელებს. დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ ამ მხრივ სხვა ჩვენს კლუბებზე უკეთეს მდგომარეობაშია, რაკი პირველად მეტოქის მინდორზე გამოდის.

წილისყრის მოკლე კომენტარი: მოსკოვის „დინამოს“ ყველაზე ძლიერი, გამოცდილი მეტოქე შეხვდა — იუგოსლავიის ქალაქ სპლიტის „ჰაიდუკი“, ამ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კლუბი.

ევროპულ ფეხბურთში თურქეთის „ტრაბზონსპორიც“, საკმაოდ ცნობილია, თუმცა ორ მატჩში მასთან ბრძოლა წესით დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ არ უნდა გაუჭირდეს. გაცილებით ადვილია მინსკის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ამოცანები, მათ I წრეში ნაკლები სიძლიერის მეტოქეები ჰყავთ.

დავით ცომაია

გარდაიცვალა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, სკკპ წევრი 1942 წლიდან დავით პავლეს ძე ცომაია.

დავით ცომაია 1904 წელს დაიბადა სოხუმში. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გაიტაცა ფეხბურთმა, რომელიც ის-ის იყო ვრცელდებოდა საქართველოში. მან იმთავითვე მიიპყრო ყურადღება, როგორც ნიჭიერმა მეკარემ. შემდგომში დავით ცომაია საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს მეკარედ ითვლებოდა, იცავდა როგორც რესპუბლიკის, ისე ამიერკავკასიის ნაკრები გუნდების სპორტულ ღირსებას.

1930 წელს დავით ცომაიამ დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომიის სპეციალობით, 1938 წლამდე მუშაობდა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სისტემაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. ამავე დროს იგი კვლავ გამოდიოდა მწვანე მინდორზე, მსაჯობდა რესპუბლიკურ და საკავშირო პირველობათა მატჩებში, იყო საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

1938 წლიდან დავით ცომაია თბილისში გადმოვიდა და ქალაქის სპორტკომიტეტში დაიწყო მუშაობა ფეხბურთის ინსპექტორად. 1940 წელს გადაიყვანეს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სპორტთამაშების კათედრაზე ფეხბურთის უფროს მასწავლებლად, ხოლო 1941 წლიდან ამავე კათედრის გამგედ აირჩიეს. 1945-46 წლებში იგი წვრთნიდა თბილისის ფეხბურთელთა ერთ-ერთ გუნდს ხოლო 1947-48 წლებში თბილისის 35-ე ვაჟთა საშუალო სკოლის უფროსი მწვრთნელი იყო.

1948-დან 1969 წლამდე დავით ცომაია ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საქართველოს სპორტკომიტეტში ფეხბურთის სახელმწიფო მწვრთნელის თანამდებობაზე. იგი იყო პირველი უფროსი ფეხბურთის სამმართველოსი, რომელიც 1969 წელს შეიქმნა. 1970 წელს დავით ცომაია პენსიაზე გავიდა, მაგრამ 1971 წლამდე ასრულებდა ამ სამმართველოს უფროსის მოვალეობას, შემდეგ კი იქვე ინსტრუქტორად მუშაობდა. 1972 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ასრულებდა საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის მოვალეობას.

ყველგან, სადაც კი იმოღვაწა, დავით ცომაიამ თავი გამოიჩინა როგორც პრინციპულმა, საქმისთვის თავდადებულმა კომუნისტმა. მისი ხელმძღვანელობით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარებისთვის. იგი ორჯერ (1946 და 1961 წლებში) დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. დაჯილდოებული იყო, აგრეთვე, მედლებით „კავკასიის დაცვისთვის“ და „დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისთვის“.

1958 წელს დავით ცომაიას მიენიჭა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება.

ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის დავით პავლეს ძე ცომაიას 1971 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან დავით ცომაია, რომელმაც მთელი სიცოცხლე საქართველოში ფეხბურთის განვითარების საქმეს მოახმარა და რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობაში დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. მისი ნათელი პიროვნება არასდროს დაავიწყდებათ იმათ, ვისაც ამ ამაგდარ ადამიანთან ჰქონია საქმე.

საქართველოს სპორტკომიტეტი.
ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია.

ფეხბურთი

ბეკენბაუერის პირველი ინტერვიუ

როგორც ცნობილია, გფრ-ის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა წარსულში განთქმული ფეხბურთელი ფრანც ბეკენბაუერი. გთავაზობთ ნაწყვეტებს მისი პირველი ინტერვიუდან, რომელიც ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.

● **რას იტყვით ახალ თანამდებობაზე თქვენი დანიშვნის შესახებ?**

— მე ნაკრების ხელმძღვანელად მიმიწვია გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნოიბერგერმა. ამას კიდევ სჭირდება დამტკიცება ფედერაციის მიერ.

● **რა ვადით დაიდო ხელშეკრულება?**

— ნოიბერგერმა ორწლიანი ხელშეკრულება შემომთავაზა — 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასასრულამდე. მე კი ვუთხარი, ორს კი არა, ერთ წელიწადს ვიმუშავებ-მეთქი.

● **რატომ?**

— 1985 წლის დეკემბერში „შტუტგარტთან“ კონტრაქტი უთავდება ბენტჰაუსს. იგი მეტად ერუდირებული პიროვნებაა და შეუძლია სათავეში ჩაუდგეს ჩვენს ნაკრებს.

● **ვინ იქნება თქვენი თანაშემწე — კიოპელი თუ რიბეკი?**

— ამას გფრ-ის ფეხბურთის ფედერაცია გადაწყვეტს.

● **როდის შეუდგებით მუშაობას?**

— ივლისის შუა რიცხვებში, როცა, ჩვეულებრივ, ბუნდესლიგის გუნდები სეზონისთვის იწყებენ მზადებას. მე უკვე მოველაპარაკე ბუნდესლიგის კლუბების მწვრთნელებს და ვუთხარი, რომ მათგან დიდ დახმარებას ველი. ეს გუნდები ძალიან კარგად უნდა მოემზადონ, რადგან მათი თამაშის მაღალი დონე ნაკრების მაღალ დონესაც ნიშნავს.

● **პირველ ყოვლისა რის გაკეთებას აპირებთ?**

— მე ნაკრების მოთამაშეებს თვალყურს ვადევნებ არა მარტო მაშინ, როცა შეკრებაზე გამოვიძახებ ხოლმე, არამედ საკლუბო გუნდებშიც. ასე რომ, სისტემატურად დავესწრები ბუნდესლიგის თამაშებს.

● **როგორი იქნება თქვენი ახალი ნაკრები?**

—ვფიქრობ, ისევ იმ ფეხბურთელებთან უნდა განვაგრძო მუშაობა, რომლებიც აქამდე გამოდიოდნენ ნაკრებში. შემდეგ ეს ნაკრები ახალი ძალებით შეივსება. გამუდმებით ვადევნებ თვალყურს ნაკრებს „21 წლამდე“.

● **რას იტყვით იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც საზღვარგარეთ თამაშობენ?**

— სისტემატურად მოვიწვევ რუმენიგეს, ბრიგელს, შუსტერს, შტილიკეს, აგრეთვე ჰანსი მიულერსაც.

● **დარჩება თუ არა რუმენიგე ნაკრების კაპიტნად?**

— დარჩება.

● **რატომ იკისრეთ ასეთი პასუხისმგებლობა და დათანხმდით გემუშავათ ესოდენ ძნელ თანამდებობაზე?**

— ერთ დროს ყველა ამაყობდა ჩვენი ნაკრებით, ახლა კი რაღაა საამაყო? საჭიროა ხელების დაკაპიწება და მუშაობის დაწყება. ამიტომაც ვიკისრე ასეთი პასუხისმგებლობა.

სერბულ-ხორვატულიდან თარგმნა
გივი გამრეკელმა.

სპორტული ფოტოგამოფენა

კოლომბოში გაიხსნა ფოტოგამოფენა — „სპორტი საბჭოთა კავშირში“. სტენდებზე გამოფენილ ფოტოსურათებზე აღბეჭდილია საბჭოთა სპორტსმენების—მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიადის ჩემპიონებისა და რეკორდსმენების მიღწევები. ამ ექსპოზიციაში მთავარია საბჭოთა სპორტის მასობრიობის, მისი გამაჯანსაღებელი ხასიათის ჩვენება.

— საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს სპორტის განვითარებას, — თქვა გამოფენის გახსნის ცერემონიალზე შრი-ლანკის სპორტის მინისტრმა ვ. პერერამ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ სტუმრად იყო საბჭოთა კავშირში. მან აღნიშნა, რომ შრი-ლანკისა და საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენთა მეგობრობა-თანამშრომლობა სულ უფრო ვითარდება და მტკიცდება.

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ქალაქის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოფარაულის. 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 09854